


353
2

ଓଡ଼ିଆ-ବାଣିଜ୍ୟ
କମନ୍ସଲ୍ ଓ
ପରିବହନ

85
3.



გაერთიანებული
სლურა ქართველი
3 თებერვალი



დ. გ. გ. ხ. ი.
ელიტარულ-ბრძანებული სცენარი „ქართლი“
1916

899.962.1-1


10684
X 10684



გაერთიანებული
კლუბი ქართველი უნი
3 თ ე მ ი ს

3 თ ე მ ი

10684



ქ. გორი
ილიაშვილ-ბრძანებული სფრადი „ქართლი“
1916

ვაჟა ფშაველა

(ლუკა რაზიკაშვილი)

დაიბადა 1861 წელს ფშავეში ს. ჩარგალს. მამა ვაჟასი პავლე შვილის შვილი იყო თავის ვაჟავაცობით და ჰქუით გათქმული იმედა რაზიკაშვილისა, რომელიც თურმე მეტე ერკლეს ეტყობდა ხოლმე: „ორი შენ მიბანე, ბატონი, მაგრამ მესამე კი ჩემიც გაიგონეო!“ ლეკების მდევარი რომ გავიდოდა, იმედას თეოტი ცხენი, როგორც ღრუბლებში მთვარე, ულრიან ტყეში მიმავალ გზაზედ, ხან გამოჩნდებოდა და ხახ მიიმალებოდააო“, ამბობს გარდმოცემა.

მშრალ გახურებულ ქვაზედაც კი შაატყობდა. საით იყო წასული კვალიო.

დედაც პავლესი - ქალი არა ნაკლებ გათქმული სარანაული დოჯურისა. მამა პავლესი გიგი არა ნაკლებ ამაყობდა თავის ჩამოშავლობით. გოგოჭურების თემი, რომელსაც რაზიკანი კუუთვნიან, უწინდელ დროში ტონის მიმცემი იყო მთელი ფშავესა.

ბევრს არას ეჭაშნიკა ამაყს გივს, როცა გაიგო, რომ იმისმა უკვე ცოლიანმა მეორე შვილმა პავლემ გუთანზედ რაღაცა ქალალდების კითხვა იწყო. (უფროსი ძმა პავლესი ბოიგარი მემტვარე იყო). ბოლოს ისე გაუტკბა პავლეს წიგნის კითხვა, რომ ცოლ-შვილი (იმ დროს პავლეს უკვე უფროსი შვილი გიორგი ჰყავდა). სულ დაავიწყდა. მამამ ბევრი უშალა: თემსა და რჯულს ნუ ჰდალატობ, გარუსებას თავი დაანებეო (რუსული ერთი სიტყვაც არ იცოდა. პავლემ, როცა-მღვდლად ეკურთხა). საქმე იქამდე მივიდა, რომ მამას მოკველაც შენდოდა პავლესი, თოფით სდევდა მოსაკლავად შვილსა, მაგრამ პავლე გადარჩა ხიფათს, დაანება სახლს, კარს, ცოლ-შვილს თავი და გაიქცა მონასტერში, სადაც ერთ წელიწადზე ისე მოემზადა, რომ მედავითნედ დანიშნეს ფშავეში ერთერთ მრავლში. შეუდრეკელი ენერგიის ქაცი იყო, დიდი ჭკვიანი, უხაზღერო გავლენის მექონე ფშავ

ხევსურეთში, სადაც კაცის კვლიდან დაწყებული უბრალო და-
ვამდე. პავლე იყო იმათი საბოლოო მოსამართლე.

ღრმად უყვარდა საქართველო და უოველივე ქართული, რაც ქართულ ენაზედ წიგნი, ან გაზეთი გამოსულა, ყველა შეძენილი და წაკითხული ჰქონდა. რომ დაისვენებდა, სა-
მეალშიიქმნეიოდა, თუ სათიბში (უკვე მღვდელი) გაზეთი
ჯიბეში ედო, ამთიღებდა და იწყებდა კითხვას. ეს სი-
ყვარული საქართველოსი იმან უმეტნაკლებოდ გადასცა თა-
ვის შვილებსაც. ვაჟა მესამე შვილი იყო პავლესი, პირველი
გიორგი, მეორე ქალი მართა და მესამე ლუკა, შეიათხე ბა-
ჩანა, მეხუთე თევდო და მეექვსე სანდრო. ვაჟას დედა გა-
ბილოურების თემისა იყო, დიდი მხნე, გულკეთილი უსაზ-
ღვროდ, დიდად ნიჭიერი მოლექსე, ფშავში გათქმული მო-
ლექსე პარასკევა ამისი ბიძა იყო. თუ მამას ყველა ქართუ-
ლი წიგნი ჰქონდა წაკითხული, *) ვაჟა გვარზედ იყო წა-
სული, ძალიანა ჰგავდა უფროს ბიძა ბოგარას და მამასაც ძა-
ლიან უყვარდა. ლუკა ნამდვილი მთის შვილი იყო. უდარ-
დელი, მოჭიდავე, საუკეთესო მსროლელი, მონაღირე, პრა-
კტიკულ ცხოვრებისთვის სრულიად გამოუსადეგარი.

სწავლობდა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში,
იქნან გადავიდა საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ საქა-
ლაქო სასწავლებელში

გაათავა და, რადგანაც სახსარი არა ჰქონდა სწავლის გაგრძონ-
ბისა, გორში ახლად გახსნილ საოსტატო სემენარიაში შევიდა,
სადაცპანსიონში სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდა. აქ კარგ ამ-
ხანაგებში მოხვდა, მასწავლებელი და ღირექტორიც კარგები
შეხვდენ და ლუკას ნიჭს ფართო ასკერზი მიეცა განვითა-
რებისთვის. სემინირია გაათავა 1885 წ. და რმავე წელს
დაინიშნა მასწავლებლად ტოლათ სოფელში (ერწოში) და
არა თავის სოფელში როგორც სწერენ. ჩარგალში მაშინ
სკოლა უკვე დაკეტილი იყო. აქ დაჰყო ჭასწავლებლად
ერთი წელიწადი, მაგრამ ერთი სასულიერო პირის დაბეჭლე-

*) სამაგიეროდ დედამ სულ იცავა უშაველების ზეპირ-ვარდო-
ცემანი-ლექსები, სლაბრები და სამინელიდევებისა და მოჯალა-ბეფ
ტბები.

ბით „ნიგილისტია“ დათხღვნილი იქმნა მასწავლებლობიდან. ამის შემდეგ გაემგზავრა პეტროგრადს, სადაც ლექციებს ის-
მენდა, მაგრამ უსახსევრიბის გძო იქიდანაც უნდა დაბ-
რუნებულიყო ერთის წლის შემდეგ. მერე იყო მინა მას-
წავლებლად ამილახერიანთ ოჯახში და ასწავლიდა გიორგი
ამილახეარს, აქ დასწერა თავისი „მოხუცის ნაამბობი“. აქვე
შეირთო კოლი. გაანება თავი კერძო ჯვახს და ქ. შ. წ.
კ. საზოგადოების თონეთის სკოლაში, წავიდა მასწავლებ-
ლად, მაგრამ მთის არწივი ცველგან ტყვედა გრძნობდა
თავსა და აქაც გაანება თავი. მას აქეთ დასახლდა ფშავში
და უკვე დაწვრილშვილებული, ეწეოდა ცხოვრების მწარე
ულელს. თვითონ ეჭირა გუთანი, ხნავდა, მყიდა, სთიბავდა,
რუშაობდა ყველა სამუშაოს, როგორც სხვა ფშაველები,
სცხოვრობდა უბრალო ქვის ნოტიო სახლში, ნახევარზედ
მშეირი და ტიტველი, ბევრჯელ ქერის პურიც კი ენატრი-
ბოდა. ფშავში მოსავალი ძალიან იშვიათად იცის: თუ
წვიმიანი წელიწადი, სულ აბალახდება და ღვარძლად იქცე-
ვა, და თუ გვალვიანიდაგვალება და ხმება. აქ ამ ენით გა-
მოუთქმელ გაჭირვებაში ჰქმნიდა თავის უკვდავ პოემებს და
იმათში აღებული ფულით ცოტა თავის გამოსახული სულსა. სი-
ლარიბემ და გაჭირვებამ ვერ გაუტეხაშეუდრეკელი გული,
ვერ დააკიკნა იმისი დიდებული სული, მაგრამ იმისი რკი-
ნის ჯანი კი თანდათანობით დალია და 54 წლის ჯან-ლო-
ნით სავსე ვაჟეაცი უდროვოდ ჩაიყვანა სამარეში.

უკვდავი იყოს შენს სათაყვანო საქართველოსთან შენი სა-
ხელიც ჩვენო სიამაყევ, ვაჟა!

ალუდა ქეთელაური

(ხევსურების ცხოვრებიდან)

I

შაცნე მოვიდა შატილსა: —

— ქისტებმა მოგვცეს ზიანი,

დაგვიწიოკეს მწყემსები,

ავნია, ავი ზნიანნი.

ალუდა ქეთელაური ↗

კაცია დავლათიანი,

საფიხვნოს *) თავში დაჯდების,

სიტყვა მაუდის გზიანი;

ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა, —

სცადა ფრანგული ფხიანი.

ცუდას რად უნდა მტერობა,

კარგია მუდამ მტრიანი! ↗

ქისტებს წაუსხამ ცხენები,

ალუდაისიც ფთიანი.

გუმან **) აქვ, გადაავლიონ

არხოტის ***) თავი მთიანი,

*) ადგილი შესაკრებელი ხალხისა.

**) აზრად აქვთ (ეჭვი).

***) სოფ. ხევსურეთში.

გააბერტყინონ ნათლია
ქუჩი მთებისა ცვრიანი.

ეს რო ალუამ გაიგო, — აუგუსტი

თოფს დაუპირა ტალიო;
აისხა იარაღები,

გააფხავიდის ხმალიო;

გაუშინჯიდის ვადანი,

ხმალს არ მაუცვდეს ტარიო.

ცისკრის ხანია, მტერს მისდევს

კლდის შავარდენი ჩქარიო.

გათენებისას ჭიუხში

შურთხმა *) დარეკა ზარიო,

ძალლებს კი სძინავ თეოზე,

ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.

მალე შააგდო ალუდამ

ქისტების ნავალს თვალიო.

მარჯვედვე გადაეწია,

თოფმა გაილო ჩქამიო:

ერთს ქურდ-კანტალას ღილლველსა

ცუდი დაუდგა წამიო;

გადავარდება ცხენზეით,

ყელ-თავქვე ეკიდებისა;

ნატყვიარი სჭრის ბეჭის თავს,

ზედ ცეცხლი ეკიდებისა;

ამხანაგ-მოკლულ ღილლველი

*) მთის ინდაური (სტვენა იწყო, ასე იცის
როცა საფრთხეს შენიშვნაეს.

ჩახმახსა ეზიდებისა.

გამასტყვრა მუცალის თოფი, —

კლდის პირი დაიშლებოდა,

ნაძოძი ტყვიის ალუდას

კალთაში ჩაეშლებოდა.

— არა გჭირსაა, რჯულ-ძალლო?! —

მუცალი ეუბნებოდა.

უნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძალლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა.

ხმა ალუდაის თოფისა

პეხასა ჰევანდა ცისასა. 

— არ მოგხვდაუა, რჯულ-ძალლო? —

ისრივ ეძახის იმასა.

— მუცალს არა სჭრის, რჯულ-ძალლო, —

ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა.

— ოჭო, ქუდ გაუხვრეტია,

წვერებსა სტოსავს თმისასა.

— მაღლა დაგიცდ, ბეჩავო,

კენჩხას არა სჭირს *) ძვლისასა.

გამოსტყვრა მუცალის თოფი,

ტყვია ჩქამს იზამს მქისესა,

გაუტეხს ქეთელაურსა

საპირის-წამლეს რქისასა. 

— არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძალლო!?

ზედაც დაჰვედრებს იმასა.

*) მორტყმული.

3არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა,
გამმარჯვედ ჯვარი დაპყვების,
ძალს შაახვეწი ღვთისასა.

გულს არ ჰქვდა, ნუ გეგონების,

ამტვრევდა წამლის ქისასა. **3**

რაკი სრევაზე მიღება

ჯავრს არც მე შავჭამ მტრისასა.

შატილიონის*) ნასროლი

ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა.

—არც ახლა გჭირსა, რჯულ ძაღლო!?

შამაუჭყივლებს ქისტასა.

4-გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძაღლო,

ვაჳ ცდასა მუცალისასა!

ძმაც ხო მამიკალ, მეც მამკალ,

რა ვუთხრა მადლისა ღვთისასა?

მუცალს არ სწადის სიკვდილი,

ვერს არა ჰკარგავს მგლისასა,

მაპელევს, დაიფევს წყლულშია

მწვანეს ბალახსა მთისასა.

ერთიც ესროლა ალუდას,

ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.

თოფიც ალუდას გადუგდო, **7**

ქრთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:

*) შატილის მუხოვრები

ქ ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძალლო,
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა.
სიტყვა გაუშრა პირზედა,
დაბლუ რთხა მიწასა.

ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა როგორც ქალიო; }
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.

თავით დაუდვა ხანჯარი,
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,
გულზედ ძეგლიგი*) დაადვა,

მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
მრჯვენას არ სჭრის მუცალსა, —

იტყოდა: ”ცოდვა არიო;
ვაჟკაცო ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკდარიო.

მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,

შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
ნუმც ხარობს ქავის კარიო,

კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდლეგრძელოს გვარიო“!

სიგძივ გაჰსურა ნაბადი,
ზედ გადაადვა ფარიო. 5

*) თოფია

II

✓ მზემ აიწია ცაზედა,
 ნისლებმ დაწირეს ხევები;
 მისჯარებიან ცის კიდეს
 კავკასიონის მდევები.
 აშლილან სანადიროდა
 ქორებ, ფრინველთა მლევლები;
 სოვნი არწივებს მისდევენ,
 მუქთად ჭამისთვის მხლებლები.
 ჯიხვნი მაებნენ მყინვარსა,
 მაღლი რქათ ადგა ლვთისაო.
 ხევი-ხევ შამოყრანტალებს
 ყორანი ავის ხმისაო:
 7 „მამკუდარა ქისტი მუცალი,
 თვალნ უნდა ვსჭამნე ყმისაო,
 გულ-ლვიძლი ამოვარიდო,
 კალთა დავხურო მხრისაო..“.

შატილს ჯერ არ ჩასწდომია
 შუქი შუა დლის მზისაო,
 არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
 კა ახურია კლდისაო.
 ყმა მოიდოდა*) გორი-გორ,

*) მოდიოდა

დაიპატიუოს სტუმრები,
დაამწერიოდეს ჯარია.
სისხლში დაიგოს ლოგინი,
გვერდს დაიწვინოს ცოლია.
ბევრი იყოლოს შვილები,
ბევრი ვაჟი და ქალია;
იქვე საფლავი გათხაროს,
იქ დაიმარხოს მკვდარია.
შენ რო სხვა მაჰვლა, შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.

შატილს *) გადმოდგა ბანებზედ
ხევსურთ ქალი და რძალია,
გამეეგებნენ ალუდას
ძმა, ძმის წულები სამნია.
ბევრს უნდა ამბის გაგება,
ბევრნი მოვიდნენ სხვანია.
მიულოციან ალუდას:
— სახელიანიმც ხარია**!

ბებერი ჰკითხავს უშიშა ***)
ალუდას ამბავს ცდისასა.
უამბობს ქეთელაური

*) სოფ. ხევსურს.

**) ხართ!

***) კაცის სახ.

აშბავს ლილლველის *) მგლისასა:

”აქით წასულმა, უშიშავ,

კვალი შავაჭერ მთისასა,

მოკლედავ გადავეწივე,

ნავალ დავატყვე ქვიშასა.

ორნ იყვნენ, თოფი ვიხმარე,

წვერს ვერ ვუწვდენდი ხმლისასა.

1 იმ ცხონებულსა შუცალს

რკინა სდებიყო-გულადა! 1

— რას ამბობ? ქისტის ცხონება

არ დაწერილა რჯულადა.

2 მით ვაქებ ვაჟკაცობასა?

არ იყიდება უულადა. 2

სამ მე ვესროლე, სამ — იმან,

მესამით დავასრულია.

მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა

გაუნაძოძა **) გულია.

ნატყვიარს ბრძამით იფევდა,

ისრე დალია სულია.

სულს არ აკლიდა ამოსვლას,


კიდევ მიხსენა რჯულია.

ჩვენ ვიტყვიო, კაცნი ჩვენა ვართ,

მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;

*) ქისტს

**) დაუნამცეცა.

ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
ლთიშვილთ უკეთეს *) იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიცვიან?!


ვერ გავიშეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიშურა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
”დაე, დააკლდეს სახელსა,
მე გირჩევნივარ მრჩევლადა“ 3
ხევსურთა ახალ-უხლები **)
გადაიქციან ტყემლადა,
ავად შაჰედეს ალუდას,
შაუძრახიან ხმელადა:

” მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ,
რა ხარ სიცრუის მთქმელადა;
აიხსენ გველის პირული ***),
დიაცთ გადუგდე ცხემლადა;
ფარი ქსლის ჩასაბეჭევად,

*) უკეთესად

**) ახალგაზდები

***) ხმალი გველის პირული ხმალი

ხირიმ*) გაუდვან გარადა **);

დამბაჩა გამაადგებისთ

საბრუნლად, თითის ტარარა!!

გამოჰქცევიხარ ქისტიშვილს,

გადუჰქცევიხარ ქალადა.

უ მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,

უკვენ მისდევდი მა რადა?! უ

ზურგი აქციეს ალუდას.

პირითა ჯავრიანითა;

თავ-თავის სახლებს მიჰმართეს

ჰერხოთით ****) კარიანათა.

~~დაწირეს~~ ქეთელაური

~~გულითა~~ ნარიანითა ****),

სახელსა ალუდაისას

იძახდნენ ზრალიანითა.

შატილს მიწერებულ მოვიდა

ზერდაგით (რვალიანითა *****),

წელზე ნარტყამის ფრანგულით

მკლავითა ფაორიანითა,

*) თოფი (ყირიმიდან შემოტანილ).

**) გარა — ქსელის ჩასაბმელი კედ.

***) მაღლა სართული

****) ეკლიანითა

*****) ცხენი ჯაჭვ ჩაცმული

თორმეტის ქისტის მამკლავი *)

შუბითა ტარიანითა.

ირემს ჰეგავ მინდის წითლაი **)

შუბლითა მთვარიანითა ***),

ალუდას აუგს ეტყოდენ

სიტყვითა შხამიანითა.

იწყინა, შუბლი დაკეცა

ნაოჭით ზარიანითა.

— ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს *****)
ენითა ქარიანითა.

ადვილად მტერი მოგიკვდესთ,

ადვილ გავიგო მართალი.

ბევრ დაღონება არ გვინდა,

ერთი დღის მეყოს საგძალი,

არ ამერვაა გზა-კვალი

ყოველ მხრივ ვიცი სავალი.

დღესავ მოგივათ მინდია,

მანამ დაბრძანდეს მრავალი.

ქუსლი ჰქორა, წითლა გამალდა *****),

*) მამკლელი

**) ცხენი.

***) აუვს ცუდს თეთრი შუბლი ჰქონდა.

****) გაფრინდა.

ნიავ-ქარივით მავალი.

III

დაბნელდა. წყალნი ტირიან, ?
კალთა გვეხურვის ღამისა;
დროა ვარსკვლავთა უიკურის,
მცრავე ბალახზედ ნამისა,
მკვდართ სულთ საფლავით გამოსვლის.
დრო მათ სიმღერის წყნარისა.
დევნი გამოვლენ კლდიდამა,
ხევ-ხუვში ეხეტებიან.
უველამ ივახშმა, და ახლა
საძილედ ემზადებიან.

— პურ მიიართვიო, — ალუდას
და-დედან ეხვეწერებიან.
— — მე პურ არ მინდა, დედაო,
გული შამეკრა რადამე,
წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,
რიგში *) ვიყოდი სადამე.
წინ გვედვა მიცვალებული,
ხევსურნ ნაწყენი ისხდენა.
სალაშქროდ დამზადებულნი,
ზოგნი კარებზე იდგენა.

*) წირვაში

მენაც იქ ვიყავ, ვსტიროდი,
როგორც წესია კაცისა.
გუმანი მქონდა სალაშქროდ,
ხანიც მოვიდა წასვლისა.
ერთ წამს ხელ ვინამ დამტაცა,
ტარი ჩამიღვა ხანჯრისა. — 3/7
შავხელავ, მუცალი იყო, უზარესი
ტანთ ეცვა ჯაჭვი, რვალია,
გულზედ ემჩნივა ნიშანი
მე-დ იმის ბრძოლის წამისა,
ეფინა *) ნატყვიარშია
ლეგა საფევი ბრძამისა **).
კლდედ იდგა, გაუტეხლადა,
ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.
„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
მამკალო, მითხრა ხვეწნითა.
თქვენ დაგრჩეს წეთი-სოფელი,
მე კი წავიდე ქვეყნითა,
დაძელით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევით. 4/8
დაუჯე, ჯამ ვინამ დამიღვა,
კაცის ხორცი იყო წვნიანი,
ვსჭამდი, მზარავდა თუმცა-ლა

*) ეფინცა (ეცვა)

**) მცენარეა მთისა

კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.

ო

რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,

უმგზავსი, შაჩვენებული.

”ჭამეო, რამამ მიძახა,

”ნუ ჰედები გაშტერებული:

გვ

”კიდევ მიმირთვით ალუდას

”წვენ-ხორცი გაცხელებული“.

ბ

მიმატეს კაცის ულვაშით

წვენ-ხორცი შანელებული...

სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ

გუნება აღელვებული.

IV

თენდება, მთის წვერნ დაწითდენ
ნისლნი აგროვდენ მთებზედა.

დგება, ილვიძებს სოფელი,

მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა.

სლენი სამგზავროს წავიდენ,

მთა-ბარს მაავლეს თვალია;

რამდენს ფრაშ-ფრაშში არიან,

ცას ვერ გაავლეს კვალია!

ვინ მოდის წითლის ცხენითა,

გამაიარა წყალია?

— მოხველ მშვიდობით? — მინდიას
ხევსურთა შაუძრახნიან. —

უნდა აცნობონ ბატონსა*),
ვისაც-კი რამა სტკიოდა.
მოქუჩდა ქალი და კაცი
ჟახვეწრით **) კუხვირით და ხარითა;
მიართმევდიან ბატონსა
სახვეწარს ბეღლის კარითა.
ეს ვინდა მოდგა, ნისლივით,
თითბრით ნაზიკის ***) ხმალითა?
ხევის ბერს აძლევს მოზვერსა,
დადგა დახრილის თავითა.
~~†~~ ვის ამშეალობნებ ***), ალუდავ,
ამა კურატით ~~შესაბურთო~~ ჟავითა‡ —
~~ჟურნალის ჟურნალის ხუცესი~~ *****)
გადაწეულის შკლავითა, —
დიდია ჩვენი ბატონი —
გუდანის ჯვარი თავითა, —
საყმონიც ძლიერნი ჰყვანან,
ღვთითა დალვთისა ძალითა,

*) სალოცავსა

**) საკლავი ხატში მიყვანილი

***) შემოსილი, მორთული

****) ავედრებს, ლოცვას

*****) ხევის ბერი ჰყლავს შეწირულს საქონელს

კარგი ყმა უყვარს ბატონსა,

წყალობა ემეტებისა;

ვაჟაცნი იმედიანნი

ჩვენს ბატონს ებედებისა.

მითხარ სახელი, ვის სწირავ,

იმასაც შაეწირება.

ხანჯარს აიძრობს, დიდების

საოქმელად დაელირება.

3 ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,

~~მუცური მომარისებულის ქისტისა.~~

მუცალს ეტყოდენ სახელად,

~~მუცური მომარისებულის შვილისა.~~

~~დამიწყალობნე~~,

~~გამიმეტებავ~~ მისთვინა,

როგორც უნდომლად მოკლული

თავის ~~ოფაზებს~~ ძმისთვინა. **3**

~~--- გაურჯულებელს არჯეულებ *~~),

. 1 შერ ეგ არ შაგიხდებისა,

ქისტისად საკლავის დაკვლა

კარგად არ მოგიხდებისა.

მამით არ მოდის ანდერძი,

პაპით და პაპის — პაპითა.

გონს მოდი, ქრისტიანი ხარ,

ურჯულოვდები მაგითა;

*) რჯულადა სდებ

ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყა
როგორ ამოგცდა ბაგითა!?
რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე
ხელებ ჯღრდესავით*) ჰკიდია,
ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის
მარჯვენეების ხიდია.

ციკანიც არვის დაუკალ, ~~— ბერდი~~
განაღმც კურატი დიდია.
როგორ ვახვეწო უფალსა
ძალლი ძალლების ჯიმისა,
მანამ სჯობს ცანი დამეცნენ,
ზურგი სჯობს ცანი დამექცნენ,
ზურგი გამისკდეს მიწისა,
ან თუ ზღვამ დამნთქას უძირომ,
სადარღი ვსჭამო ქვიშისა!
ფერი ედება ბერდის,
ფერი სხვა რიგის შიშისა.

— ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,
მადლი თუ გწყალობს ლვთისაო,
ყმა ვარ შეც გუდანის ჯვრისა,
ხევსური თქვენის წყლისაო,
მითამ ერთი ვართ, ბერდიავ,
მცხოვრებნი ერთის მთისაო.
— ტყუილად სცდები, ალუდავ,

*) აჩონჩხლილი, ბევრი ერთად

ტყუილად იცევთ პირსაო.

ყგაჯვარდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა მგლისაო;
ხელი გაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო.

უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მოგორავს ძირსაო. **ყ**

თან შაეხვეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ*) შვილსაო,
ალლადა ჰქონდეს მუცასა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო.

ბერდია ჯაგარ-აშლილი
ხახლისკე იზამს პირსაო.

— გაგონილაა, — იძახდა,
ასე აგდება რჯულისა:

საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,
მამხსენე ქისტის სულისა.

ხალხო, მინდარის გავიგო
პასუხი თქვენის გულისა.

ჩდჭჭარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი -- დიდნი, მცირენი, —
შამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;

*) ცოდვად ნუ ჩამითვლიო, შამცოდედ მიმიღებო

ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამამტირენი.

მოკვეთილ *) იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ლრუბლის შანამზირები.

წადით უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.

ცეცხლი მიეცით საძნოვარს, —**))
ცასა სწვდებოდეს ალები,

სათემოდ გამოირეკეთ:

ცხვარი, ძროხა და ხარები.

შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,
გუდანს — შინშნი და ქალები;

ჰრისხავდეს ჩვენი ბატონი,

არ ბრის შასაბრალები.

ამის გამგონეს მინდიას
მაუწყლიანდის თვალები,

ვეღარასა ჰშველს ალუდას,

გულზე გადიწყვის მკლავები.

შასმულებმ ***) ხევსურთ შვილებმა.

მაიმარჯვიან ფარები,

უნდა სცან ****) ქეთელაურსა,

*) სოფლიდგან გაძევებული

**) საძნე

***) ქეიფიანებმა

****) დაჰკრან

კაპასად უღერენ რვალები.
ჯარად დამსხდართა ხევსურთა
თავზედ წაადგა ბალლები,
ერთს ხელში დაუჭერია
მარჯვენის ნახრავ ძვალები.

— ვაუნო, ვინდომებ თქვენთვის;
წყალობას ბატონისასა,
საკარგყმო *) დამალეინეთ,
მოგიტანთ ხელსა მტრისასა.
ყორანს მიჰქონდა ბრჯლალითა,
ყურეს უმარჯვდა კლდისასა.
იმ დროსა ვსტუორცნე ისარი
ლალად მიმავალს ცისასა;
მართალ გამოდგა ნასრევი **),
ყორანს უვლიდა ფრთისასა;
კლანჭით გაუშვა ნადავლი,
გაღმეესრია ***)) მიწასა.

— მუცალის მარჯვენა არი,
მიზეზი ხევსურთ რჩევისა, —
წყრომით იტყოდა მინდია, —
მიზეზი იმათ წყევისა;

სავაუკაცო

**) ნასროლი

***) ჩამოგარდა

მე მიუტანე ალუდას,
ჭერი დავადევ წყენისა;
რო არ მიიღო ალუდამ,
სიღრმე ვაჩვენე ხევისა.

— წაიღეთ, — ამბობს ბერდია:
ტოტი ურჯულოს ძაღლისა,
არა ვართ ხევსურთ შვილები
ყმანი ეშმაკის, ალისა.

ძაღლს მიუგდიან სჭმელად
ხელი მუცალის მკლავისა.
პირი არ ახლო ქოფაკმა,
მორთო ღმუილი ბრალისა.

ხევის ბერ იტყვის ბერდია:
— ხევსურნო, ნახეთ თვალითა:
ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო,
თქმულია იმავ თავითა.
ქისტის მარჯვენას ბალლები
დაბლა ათრევენ კავითა.

VI

თოვლი სთოვს, ქარი ბობორქობს,
ყვლებ შაკრულა მთებისა;
ჩამოდის ხევად ზოვები,

ჩამონასხლეტი კლდებისა.

გაუბამ ყინულს ლურჯადა
უბე-კალთები წყლებისა,

მიუნაქრია ერთიან

ვიწრო სავალი გზებისა.

ვის მასწყენია სიცოცხლე,

გზას ის ვინ გუდგებისა?

წინ მიღის მგზავრი, მიჰკვალავს,

ხუთიც უკვენა ჰყვებისა.

| სიმშილით შეწუხებული

მთას ლმუის ჯოგი მგლებისა.

”კარგს ნურას პნახავთ, ხევსურნო..

ერთი ღიაცი სწყრებისა.

„ავაპმე, ჩვენო სახ-კარო,

ქვა-ქვაზე ალარ დგებაო,

ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე

ეხლა ყოვები სხდებაო.“

დედა ეტყოდა ალუდას:

— შვილო, იარე ნელაო,

შენთან ვერ გავძლებთ, ვერც მენა,

ვერც შენი ცოლი ლელაო.

ბალლები აგვიბოჟირდა *),

ხელ-ფეხ დაგვიზრა ~~ძნელაო~~

ვაპმე, რა უგზოდ დავდივართ.

ვაპმე, როგორა ბნელაო!
ნეტავ რარა დასჭირდებაა
ხევსურთა შენი შველაო?!
ვის რა წყალ-ჭალა გვისტუმრებს,
სად რარა დავილევითა?
უბინო უსახლ-კარონი
სხვაანაც დავიწყევითა.

ვეღარ შილვალთ ჩვენს სახ-კარს,
გაღმა შატილის ხევითა.
თავის მიწა-წყლის გაწირვა
ძნელი ყოფილა მეტადა;

მამაკვდავს დავთერებივარ,
გონი გამხდია რეტადა.
მუხლებ არ მამდევს, გულშია
ბნელი ჩამიღვა სვეტადა.
ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,
კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!

ჯავრობით ეტყვის ოლუდა:
ზღიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
მოღით, მამყევით, ვიღინოთ *),
ლმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,
ჯვარს არ აწყინოთ, თემს თუ სწყევთ,
ნუ გადიქცევით ცეტადა! **ც**
ერთხელ მაუნდა ოლუდას,

*) ვიაროთ

ერთხელ მობრუნვა თავისა:

მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!

მშვიდობით, ჩემო სახ კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!

მშვიდობით, ჩვენო ბატონო *),
ყმათად მიმცემო ძალისა! 

გაწირეს მგზავრთა სამუდმოთ
წყალი და მიწა თავისა.


შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვივილი ქარისა.

გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.

ერთი მოისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა. 

1888 წ.

*) სალოცავს



ବ୍ୟାସ ଗୁରୁ ପାତ୍ର

५५